თემის / სოფლის დასახელება ----------

წარმომადგენელის სახელი/გვარი----------

ცხრილის შევსების წელი, თვე და რიცხვი----------

0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა სია, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ თემის დასახლებაში

	0-დან 7 წლამდე ბავშვის სახელი გვარი, მამის სახელი	სოფლის დასახელება, სადაც მუდმივად ცხოვრობს ბავშვი	ბავშვის დაბადების წელი, თვე და რიცხვი	ბავშვის პირადი ნომერი
1. 2. 3. . . .				

მერის წარმომადგენელის ხელმოწერა ----------

თემის / სოფლის დასახელება ----------

სოფლის ექიმის სახელი/გვარი----------

ცხრილის შევსების წელი, თვე და რიცხვი----------

0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვთა სია, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ თემის დასახლებაში

	0-დან 7 წლამდე ბავშვის სახელი გვარი, მამის სახელი	სოფლის დასახელება, სადაც მუდმივად ცხოვრობს ბავშვი	ბავშვის დაბადების წელი, თვე და რიცხვი	ბავშვის პირადი ნომერი
1. 2. 3. . . .				

სოფლის ექიმის ხელმოწერა ----------

სოფლად მცხოვრები ალტერნატიულ ცენტრში ჩასარიცხი ბავშვის მშობლის გამოკითხვის ფორმა

გთხოვთ წაიკითხოთ გულდასმით, რადგანაც საკითხი თქვენი შვილის სკოლისთვის წარმატებულ მომზადებას და სამომავლოდ, საზოგადოების აქტიურ წევრად აღზრდა- განვითარებას ეხება.

1.მუნიციპალიტეტი თავის თავზე იღებს ვალდებულებას, საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ მუხლი 10-ის შესაბამისად, უზრუნველყოს თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება; ბავშვთა სათანადო განვითარებისთვის და სკოლისთვის მოსამზადებლად ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნა, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: **სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, მიუხედავად ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლისა; სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი მომსახურების დასანერგავად სათანადო პირობების უზრუნველყოფას ყველა ბავშვისთვის.**

ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში ძალზე მცირე ბავშვთა კონტინგენტი, არ იძლევა შესაძლებლობას ერთ და ორ ბავშვზე ავაშენოთ ტიპიური საბავშვო ბაღები, რაც არც მსოფლიო პრაქტიკაში არ არის დანერგილი, დაბალი ხარჯთეფექტურობიდან გამომდინარე.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ დასახლებულ პუნქტებში სკოლამდელი განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის, რაიმე ფორმით სკოლამდელი განათლების მიწოდებას, სადაც ერთი და ორი ბავშვი ცხოვრობს. ჩვენ დაგვაფიქრა ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის გარეშე დარჩენის პრობლემამ, ვიცით რა მისი დიდი მნიშვნელობა, გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება და 3 საათიანი დღის რეჟიმით, 30 კვირის მანძილზე, თქვენს შვილს მოხალისე აღმზრდელის მიერ, გავატაროთ სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი. ეს პერიოდი ჩვენი დაკვირვებით, სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ ბავშვი მოემზადოს სკოლაში სწავლისთვის, კერძოდ ფლობდეს იმ უნარებს, რაც აუცილებელია თანატოლებთან ერთად წარმატებით გაართვას თავი სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანთა ჯგუფის სტანდარტის დაძლევას, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, თქვენი შვილი, სწავლების შემდეგ საფეხურებზე იყოს წარმატებული:

იმის გათვალისწინებით, რომ შევძლოთ დავიცვათ ჩვენი ბავშვების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება - უფლება განათლების შესახებ, საჭიროა თქვენი აქტიური ჩართულობა ამ პროცესში.

გთხოვთ უპასუხოთ კითხვებს:

● გსურთ თუ არა, თქვენს დასახლებულ პუნქტში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, (ან დაქირავებულ შენობაში, ან მშობლის პედაგოგიზაციის ფორმით მისივე კუთვნილ საცხოვრებელ ფართში), გამოიყოს ერთი ოთახი, სადაც მოხალისე მასწავლებელი ან თავად მშობელი, 3 საათიანი დღის რეჟიმით, 30 კვირის მანძილზე კვირაში 5 დღე თქვენს 5-6 წლიანი ასაკის ბავშვს გაატარებდა სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს. სოციუმის შესაქმნელად, ჯგუფში ასევე გაერთიანდებიან ამავე სოფელში მცხოვრები ადრეული ასაკის ბავშვებიც (3 წლის ასაკიდან).

კი არა

უარის შემთხვევაში, გთხოვთ ჩამოთვალოთ არგუმენტირებული მიზეზები

● მიგაჩნიათ თუ არა, რომ რადგანაც არჩევანი დგება ორ საკითხთან მიმართებაში თქვენმა შვილმა:

» უნდა გაიაროს სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი შემოთავაზებული ფორმით

» არ უნდა გაიაროს სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი შემოთავაზებული ფორმით.

რომელ არჩევანს გააკეთებდით?

● მიგაჩნიათ თუ არა ჩვენი მუნიციპალიტეტის პირობებში, სადაც 7 თვე ზამთარია, ბავშვის ყოველდღიური ტრანსპორტირება ისეთი ტრანსპორტით, რომელიც არ არის ადაპტირებული სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტირებისთვის, ძალზედ საფრთხის შემცველია? (ვგულისხმობთ კილომეტრაჟს, საკმაოდ რთულ კლიმატურ პირობებს და არაადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებას ყოველდღიური გადაადგილებისთვის)

კი არა

● მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, თუ არა თქვენი მხარდაჭერა ჩვენს შემოთავაზებაზე, ბაღს მიღმა დარჩენილი არცერთი ბავშვი სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის გავლის გარეშე!

კი არა

● გთხოვთ, მიუთითოთ თქვენს შესახებ ზოგიერთი რამ:

მამა / დედა

რამდენი შვილი გყავთ და რამდენი წლის

რამდენ საათს უთმობთ დღეში ბავშვთან კომუნიკაციას (უკითხავთ საბავშვო ლიტერატურას, ხატავთ, ძერწავთ მასთან ერთად, ასეირნებთ და აკვირვებთ ბუნებაზე, ასწავლით და თამაშობთ მასთან ერთად სპორტულ თამაშებს, უსმენთ მისთვის საინტერესო მუსიკას, ავარჯიშებთ ათამდე მათემატიკურ ნიშნებსა და მარტივ მოქმედებებზე.

სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ წარმოგვიდგინოთ თქვენი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

თარიღი:

ხელმოწერა: